



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 20

27/05/2019

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს თანხმობა, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირობით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს სარგებლობაში ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა N 106-ში რეგისტრირებულ შპს „დაირექტ დეპიტ ჯორჯია“-ს (ს/ნ 205130464) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება -დანართი 1-ის შესაბამისად.
2. შპს „დაირექტ დეპიტ ჯორჯიამ“ (ს/ნ 205130464) სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს სწრაფი გადახდის თვითმომსახურების ტერმინალების განსათავსებლად.
3. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2019 წლის 11 მარტის №63 აუდიტორული დასკვნა), ყოველ კვადრატულ მეტრზე 15,00 (თხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მეზღვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



შპს "დაირექტ დეპიტ ჯორჯია"-სათვის (ს/ნ 205130464) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირობებით, იჯარის ფორმით გადასაცემი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწა) ნუსხა

N	უძრავი ქონების საკადასტრო კოდი	უძრავი ქონების მისამართი	სარგებლობის უფლებით გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართი (კვ.მ.)
1	62.09.54.982	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. N 25	1.00
2	62.09.58.015	ქ. ახალციხე, აბასთუმნის გზატკეცილი	1.00
3	62.09.58.891	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N 5	1.00
4	62.09.58.891	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N 4/17	1.00
5	62.09.58.891	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N 15	1.00
6	62.09.58.891	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N 41	1.00
7	62.09.57.007	ქ. ახალციხე, იაძის ქ. N 13	1.00
8	62.09.58.891	ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N 41	1.00
9	62.09.58.891	ქ. ახალციხე, ნათენაძის ქ. N 25	1.00
10	62.09.58.141	ქ. ახალციხე, თამარ მეფის ქ. N 8	1.00
11	62.09.58.891	ქ. ახალციხე, ნათენაძის ქ. N 4	1.00
12	62.09.54.980	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N 22	1.00
13	62.09.54.028	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N 116	1.00
14	62.09.54.980	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N 66	1.00
15	62.09.53.035	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N 93/2	1.00
16	62.09.60.130	ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქ. N 1	1.00
17	62.09.54.982	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. N 12	1.00
18	62.09.54.982	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. N 41	1.00
19	62.09.54.982	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. N 37	1.00
20	62.09.54.982	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. N 29	1.00